

— იმდენი იქნება მღივანება დაკავებულია მხარტ-
ველით, სანამ მართლა არ დაკავდება.

ქვემოთ



№ 11 (1405)

ივნისი

1973

საქართველო



გამოცემის 50-ე წელი უახლესი 20 პაპ.

ნაბ. გ. ფირცხალაშვილი



— რაც ამის ქმარმა ფული იშოვა, ათი წელი
დასჭირდებოდა დასათვლელად.
— ზუსტად ათ წელს ითვალისწინებს მამის
დანაშაული.

73

ქმარმა
ფული
იშოვა
ათი წელი
დასა-
თვლელად

თადარიგის გენერალი მხედრული ნა-
ბიჯით მიუახლოვდა „ვაკის პარკს“. მას
თან პატარა ბიჭუნა მისდევდა, რომე-
ლიც ყოველ წუთს ბაბუას რაღაცას
ეკითხებოდა. პარკის შესასვლელთან
ასეთ შეკითხვას მოგვარით ყური: ბა-
ბუ, ეს არის „გამარჯვების პარკი“? —
ღიან! — იყო მტკიცე პასუხი. კითხვამ
და პასუხმა დაგვიინტერესა. გადავწყვი-
ტეთ მათთან ერთად დაგვეთვალიერე-
ბინა ე. წ. „გამარჯვების პარკი“.

თურმე, სამი წლის წინათ, დიდ სამა-
მულო ომში დაღუპულ მეომართა უკვ-
დასაყოფად თბილისის ვაკის პარკს
„გამარჯვების პარკის“ სახელწოდება
მიენიჭა და ღონისძიებაც დაიწახა.

ჩვენს წინ შესანიშნავი რელიეფია.
აქ უამრავი ხე და მცენარეა, რომელიც
სამშაულებს იძლევა მშრომელი ადამი-
ანებისთვის, ომგადახდილი ვაჟკაცე-
ბისთვის თუ ბავშვებისთვის შექმნას
კეთილმოწყობილი, შინაარსიანი დასვენ-
ების პირობები.

პარკის ცენტრში აუზია. აუზში დამ-
დგარი წყალია. გვითხრეს, ხანდახან
შადრევანიც არის ხოლმეო. მარცხნივ
ფოტოსურათებს მოგვარით თვალი.
ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები,
რუსთაველის პრემიის ლაურეატები
შევიცანით. მარჯვნივ ორჯონიკიძის
რაიონის მოწინავე მუშა-მოსამსახურე-
თა ფოტოსტენდია.

— ბაბუ, სად არის შენი სურათი? —
პატარა ბიჭუნა არ ასვენებს ბაბუას.
გენერალმა უხერხულად მიმოიხედა.

— ესენი შენი ფრონტის მეგობრები
არიან?

— სად არის შინმოუსვლელთა სურა-
თები? — ბიჭუნა პასუხს რომ ვერ ღე-
ბულობდა, შეკითხვას შეკითხვაზე აძ-
ლევდა.

ბაბუამ შვილიშვილი საქანელაზე და-
სვა და თვითონ იქვე ჩამოჯდა. მოგონე-
ბამ და ოცნებამ გაიტაცა ომგადახდილი
ვაჟკაცი. მის თვალწინ გაიოვია სამამუ-
ლო ომში დაღუპულ გმირთა სახეებმა.
ეჩვენებოდა, თითქოს ისინი მის წინ იდ-
გნენ.

ოცნების კარი გაიღო და ვაკის პარ-
კის შესასვლელთან თადარიგის გენე-
რალმა დიდი აბრა დაინახა წარწერით:
„გამარჯვების პარკი“, ჯარისკაცის ძეგ-
ლი, ავტომატით ხელში შემართუ-
ლი. პარკის ცენტრში სასიქადულო
მამულიშვილების ფოტოსურათების
გვერდით, სამამულო ომში დაღუპულ
გმირთა ფოტოსურათები შენიშნა. აქვე
თვალსაჩინო მხედართმთავრის, საბჭოთა
კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ
კონსტანტინე ლესელიძის ძეგლი გად-
მოუტანიათ. ხეივანში გაისეირნა და
ლამაზ შენობას მიადგა დარბაზში ხალ-

ხი შედიოდა. თადარიგის გენერალი ფა-
შისტურ გერმანიაზე გამარჯვების ამსახ-
ველ დოკუმენტებსა და მთავარ სამხედ-
რო ოპერაციების პანორამას მიუახლოვ-
და. აი ბიბლიოთეკა და სამკითხველო
დარბაზი, სადაც სამამულო ომთან
დაკავშირებული ლექცია-საუბრები ტა-
რდება, თანაც დოკუმენტურ კინოფილ-
მებს უჩვენებენ.

ოცნებამ ქართველი გენერალი შორს
გაიტაცა. იგი ვეტერანთა სახლს ეწე-
ვია. მოინახულა თანამებრძოლები, გა-
იხსენა ომში დაღუპული გმირები,
ვინც ჰყვოდა მტერზე გამარჯვებას. აგერ
დიდ სამამულო ომში დაღუპული უც-
ნობი ჯარისკაცის საფლავი, რომელზეც
მარადიული ცეცხლი ანთია. რვა წლის
წინათ გმირთა მოედანზე საფუძველი
ჩაეყარა გამარჯვების მოხუშენს. იგი
უკვე აუგიათ. მაშ აუფი სიტყვა აღარ
იტქმის.

რესტორან „ბუდაპეშტიდან“ ნას-
როლი კახური ღვინით სავსე ბოთლი
ყუმბარასავით გასკდა. მას ლაზათიანი
ლანძღვა-გინება მოჰყვა, გინებას —
ჩხუბი, რომელმაც პარკის ცენტრში გა-
დმოინაცვლა.

თადარიგის გენერალმა ბავშვი საქა-
ნელადან ჩამოსვა. ბაბუა და შვილიშვი-
ლი სტადიონ „ლოკომოტივზე“ მიმავალ
ფეხბურთის მოყვარულთა შორის გაუ-
ჩინარდნენ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ თბი-
ლისის მშრომელთა დეპუტატების საქა-
ლაქო საბჭოს მიერ შექმნილმა სპეცია-
ლურმა კომისიამ ვერ დაადგა თავი ამ
საყოველთაო პატრიოტულ საქმეს, კერ-
ძოდ, ვერ შეისწავლა თუ როგორი უნ-
და ყოფილიყო „გამარჯვების პარკი“. მკითხველების უმრავლესობა, ალბათ,
ისიც არ იცოდა, რომ ვაკის პარკს
„გამარჯვების პარკი“ ერქვა. ან რა საჭი-
როა სახელწოდების შეცვლა თუ მისი
ფორმა და შინაარსი აი შეცვლილა?



— გვარი?
— დარბაისელი.
— სახელი?
— იროდიონი.
— მამის სახელი?
— სოლომონი.
— სოციალური წარმოშობა?
— ინტელიგენტი.
— განათლება?
— განათლებული.
— სპეციალობა?
— სპეციალისტი.
— წლოვანება?
— ოცდათხუთმეტი წლის.
— ოჯახური მდგომარეობა?
— ოჯახმოკიდებული.
— დაბადების ადგილი?
— თბილისი.
— ბინა გაქვთ თბილისში?
— არა.
— აღრიცხვაზე თუ ხართ?
— კი.
— რამდენი წელია?
— თხუთმეტი.
— ფული გაქვთ?
— არა.
— აგარაკი?
— არა.
— მანქანა?
— არა.
— ტელეფონი?
— არა.
— უძრავი ქონება?
— არა.
— მოძრავი?
— არა.
— ხელფასი რამდენი გაქვთ?
— ორასი მანეთი.
— რომელი უცხო ენები იცით?
— ინგლისური, ფრანგული, ბერძნული, იტალიური, გერმანული, სპარსული და ესპანური.
— იყავით თუ არა საზღვარგარეთ?
— არ ვყოფილვარ.
— ადრე სად მუშაობდით?
— საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ზოგადსაგანმანათლებლო კულტურისა და პატიოსნების დაცვის დახელოვნების საკვლევ ინსტიტუტში.
— რა თანამდებობა გეკავათ?
— უმცროსი მეცნიერი.
— ამჟამად სად მუშაობთ?
— კეთილშობილი დრეკადი და ფერადი ლითონების აღამიანზე გავლენისა და მისი შესწავლის საკვლევ ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ თანამშრომლად.
— რას თხოულობთ?
— ბატონუნის სანატორიუმის საგზურს.
— აა, ეს თქვენა ხართ, იქიდან რომ დარეკეს?
— არა.
— მიბრძანდით. შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილებთ თქვენს თხოვნას...
— გვარი?
— მორგებულიძე.
— სახელი?

— სანდო.
— მამის სახელი?
— მენდო.
— სოციალური წარმოშობა?
— კარის აზნაური.
— განათლება?
— გაუნათლებელი.
— სპეციალობა?
— მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკი.
— წლოვანება?
— ოცდათხუთმეტი წლის.
— ოჯახური მდგომარეობა?
— ოჯახშენებული.
— დაბადების ადგილი?
— ჯანჭუხის რაიონი, სოფელი ჭყვინტრისი.
— ბინა თუ გაქვთ თბილისში?
— იზოლირებული.
— რიგში იდევით?
— არა.
— ფული გაქვთ?
— რამდენიც გნებავთ.
— აგარაკი?
— აგარაკიც.
— მანქანა?
— შოფრით.
— ტელეფონი?
— ყველა ოთახში.
— მოძრავი ქონება?
— უძრავიც.
— ხელფასი რამდენი გაქვთ?
— ოთხმოცი მანეთი.
— რომელი უცხო ენები იცით?
— როგორ გეკადრებათ!
— იყავით თუ არა საზღვარგარეთ?
— ვიყავი: ამერიკა, ინგლისი, დანია, იპონია, იორდანია, ბრაზილია, ინდონეზია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ინდოეთი, პაკისტანი, შეიცარია და კანადა ტურისტად.
— ადრე სად მუშაობდით?
— ჯანჭუხის რაიონში, სოფელ ჭყვინტრისის დვინის ქარხანაში.
— რა თანამდებობა გეკავათ?
— მეღვინის.
— ამჟამად სად მუშაობთ?
— საექსპორტო კულტურული იმპორტული საქონლის საბითუმო სარეალიზაციო საწარმოს გამგედ.
— რას თხოულობთ?
— კანარის კუნძულებზე დასასვენებელ საგზურს.
— აა, ეს თქვენა ხართ, იქიდან რომ დარეკეს?
— დიახ, თავად გახლავართ.
— დაწერეთ განცხადება. ამ დროს ვიღაცა უცნობმა უფროსსა და მთხოვნელს მხარზე ხელი დაადო, ერთად შემოატრიალა და ჩასაწერელად:
— დროა წამობრძანდეთ დასასვენებლად!
თანგი პირველი



— როდემდე უნდა ვაძლიოთ ამ ხალხს ხურდა? ყველაფერს ხომ აქვს თავისი საზღვარი!



— რაციონალიზატორული წინადადება ხომ არ გაქვთ?
— მი გაქვს, კამათი შევწყვიტოთ და საქმეს შევუდგეთ.



ნახ. ჯ. ლოლუასი

მელიამ ამასწინ ნადიმზე, ჭაღში რომ ჰქონდათ წყაროსთან, შეაქო უღრან ტყის უფროსი, დაცალა ყანში და დალოცა.

დათვრა და მოდერნულ სიმღერებს მღეროდა ცეკვით და ჩხავილით, ბოლოს კი ქადაგად დაეცა, აუტყდა ტუჩების ქავილი.

— უფროსო, გეტყვით და გამოგებთ, მართლის თქმას ვიცი არ დამიშლით, საქმეზე შეგტკივთ გული და ერთსა გთხოვთ, ნერვებს ნუ აიშლით.

მტერი რას გვიზამდა, ვერაგი, თქვენგვარი ორიც რომ გვერიოს, ჭკვის სწავლა? ღმერთო კი მომკალი, თქვენ რაში გპირდებით, გენიოსს.

მაგრამ ერთს გეტყვით და გამოგებთ, თქვენც ალბათ ნახავდით ნამდვილად, მაცულებში ზღარბი რომ შეგენიშნე, თქვენსკენ რომ მოვრბოდი ამ დილას.

რად გვინდა, პირდაპირ მითხარით, დღეს რაში გვპირდება ეკალი? როდესაც თვით თქვენგან შეიქმნა ცხოვრება ტბილი და ნეტარი.

ტყის დოვლას თუ ვინმე იბარავს თავისდაუნებურ შეცდომით, უფროსო, თქვენ თვითონ მიბრძანეთ, სადღა დღეს ჩვენში ქვემაროში.

ამიტომ, გირჩევთ რომ გამოგოთ, განსაჯოთ როცა დრო გექნებათ, „სწორეა“, არ გვინდა, „გაუგადოთ“, — აყვირდა მსუქანთა შეკრება.

მეორე დღისითვე მოედო ტყეს ზღარბის განდევნის ამბავი, ასეა, სუყველგან ერთი ცხელ-ცხელი ჭორების ანბანი.

მივიდნენ, ზღარბს სახლში ესტუმრნენ ტყის მთელი წვრილფეხა მხეცები, იღავეს, ზეპირად წარმოთქვეს კანონი, კოდექსი, წესები.

„არა აქვთ უფლება“, — მსკელობდნენ მოხსნის და განდევნის წესებზე. მაჩვმა თქვა: — მოგხსნიან და მერე წადი და კანონი ეძებე.

ზოგი რას ურჩევდა, ზოგი რას, ზოგი კარგს, ზოგიც კი უდიერს, კურდღლებმა შიშით და კანკალით ეკლებს გააბრსეა ურჩიეს.

— ერიდე უფროსებს, ხმელეთზე შეწყვიტე ხტუნვა და ნავარდი. — არ მინდა... — სიტყვა ზღარბმა და სწრაფად ააგრა გულა და ნაბადი.

ღვენილმა ბაღში და ბოსტანში დაიდგა ბინა და კარავი, შრომობდა და ალალ შრომისთვის არ დამღურებია არავინ.

მორალი დასკვნით და წერტილით ცხოვრების ფარგლებს არ სცილდება, ასეა, მარტო ტყეს კი არა, ვარდსაც კი ეკალი სჭირდება.

მეტყინი:

პრიმა — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს პირველს, საუკეთესოს. გამონაკლისს წარმოადგენს სიგარეტი „პრიმა“.

დედამთილი — სათათბირო ხმის უფლების მქონე ოჯახის წევრი.

რესტორანი — ძვირ-ფასი სასადილო.

ექსკურსია — დანგრეული ეკლესიების საბოლოოდ დანგრევა.

ბოქსი — ოფიციალურად ნებადართული მუშტიკრივი.


ლექცია — იაენანა დიდებისათვის.

ნაყინი — საჭმელი, რომლითაც მყიდველი ყელს იცივებს და გამყიდველი ხელს ითბობს.

საწყობი — დეფიციტური საქონლის გასაყიდი მაღაზია.

აბიტურიენტი — ახალგაზრდა, შეიარაღებული ცოდნით ან შეიარაღებული მშობლებით.

გიგლა ბახტაძე



ნახ. გ. ლომიძისა

— ბავშვებო, საგაფხულო არდადეგებისათვის სერიოზულ დავალება უნდა მოგცეთ. ყოველდღიურად წერეთ დღიური. შემდეგ მოიყვანეთ სისტემაში და საკონტროლო თემა — „როგორ გავატარე ზაფხული“ მზად იქნება, — გაგვფრთხილა მასწავლებელმა.

ველოდებით მიმდინარე სასწავლო წლის უკანასკნელ ზარს. საცაა ისიც დაირეკება და... გაუმარჯოს არდადეგებს: სოფლის ორლობებს, ბებრის გამომცხვარ ცხელ მჭადს, მდინარეში ჭყუმპალს...

მაგრამ მოხდა ისე, რომ სოფლის მაგივრად პიონერთა ბანაკში გამგზავნეს. კიდევ უფრო უკეთესი...

აი, მე ბანაკში ვარ მესამე დღეა, მაგრამ ჯერ არაფერი დამიწერია, არ ვიცი რა დავწერო, ტყულებით ერთმანეთს ჰგავს ყოველი დღე, მაგრამ დავალება დავალებაა და აბა ჰე, ვიწყებ წერას.

4 ივლისი: ეცხოვრობთ სკოლის შენობაში. წინ ზღაპი, უკან ტყე, ირგვლივ ჭიჭი.

საუზმის შემდეგ ტყეში წაყვანა ვთხოვეთ უფროს პიონერ-ხელმძღვანელს. ტყეში არ შეიძლება, იქ ძალიან ძაბვის ბოძები... ერთხელ ბიჭები გავიპარეთ და მართლაც, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებოდით წარწერებს: „სასიკვდილოა“. იქ დღეს კი „გაძელი ვირი“ ვითამაშეთ.

8 ივლისი: საუზმის შემდეგ ხელთ ვიკდე (სამი დღე ვიდექი რიგში) ჭაღრაკი და ლენასთან ერთად საღამომდე ვითამაშე შაში (შაშის დაფა ცალკე არა გვაქვს). ისე ან დაფაზე, ცოტა ფიგურები რომ არ აკლდეს, ჭაღრაკის თამაშიც შეიძლება. თეთრებს მეფე არა ჰყავს. ამიტომ ვინც თეთრებით თამაშობს, ის იგებს.

10 ივლისი: დღეს ახალი სიმღერა შევისწავლეთ. მას თურმე ჩვენი მამა-პაპა მღეროდა ადრე, მაგრამ ჩვენთვის ახალია. „აჩიანა სონიამ“ ერთ ხანს გავვართო. ჩვენმა პიონერ-ხელმძღვანელმა ახალი სიმღერა „წამიყვანე რა იქნება. თუ არა და ვიტყვებ“ იცის, მაგრამ, რატომღაც ჩვენ არ გვასწავლეს.

15 ივლისი: შევისწავლეთ ახალი სიტყვა „კარანტინი“. კარანტინი იმას ნიშნავს, რომ არსად არ გიმეზღვენ, არავის უშვებენ ბანაკში და არაფერს გაკეთებინებენ. მეოთხე დღეა ჩვენთან კარანტინი.

23 ივლისი: წყნარი საათის დროს ხელბურთი ვითამაშეთ ბაღში.

24 ივლისი: მთელი დღე კრება იყო. დავგსაჯეს ბაღში-ბით თამაშისათვის.

26 ივლისი: ახალი ხელმძღვანელი მოვიდა. მას ექვსი-ბიანი ჭინი აცვია. აი, ეს მესმის! ასეთ ხელმძღვანელთან არ დავიკარგებ.

27 ივლისი: ვიყავით ზღვაზე. ვიჭეპით ნაპირზე და გაცივებული ვუყურებდით როგორ ცურავდა ჩვენი ხელმძღვანელი. აი, ცურვა ამას ჰქვია!

28 ივლისი: წყნარი საათი. თავი მოვიმძინარეთ, რადგან ჩვენი ახალი ჯანგირა ხელმძღვანელი მკაცრია. შემოდის მას-წავლებელი ქალი, ხელმძღვანელი მის ხელს იჭერს, თვლებში უყურებს და ეუბნება: „...ნურადრის ნუ გეშინია... მე რომ შენ გავიცანი...“ სხვას ვერ მიგვხვდით. შემდეგ ეფერება, თუ ამოვიღებ, ვერ გავიგეთ... ნეტავ რისი ეშინია ქსენია მას-წავლებელს?

29 ივლისი: აგვწონეს. მე მომიმატია ყველაზე მეტი — 150 გრამი. ბავშვებმა ღორმუცელა შემარქვეს. კიდევ ერთხელ ვისადილე და ავტობუსიც მოვიდა. თქვენი ღრმად-თავრდა, ხელიდან სხვები მოვლენო.


30 ივლისი: სახლში ვარ. დედა შეშფოთებულია. მამას ეუბნება, ბავშვი სოფელში გავგზავნოთ, ცოტა ფერზე მოვიდესო.

სოფელში მივემგზავრები. გაუმარჯოს სოფლის ორლობებს, ბებრის გამომცხვარ ცხელ მჭადს, მდინარეში ჭყუმპალს და თავისუფლებას.

ესეც ასე. დღიური დავწერე, საშინაო დავალებაც შევასრულე. კიდევ კარგი, თორემ თბილისში რომ ჩამოვედი, მეორე ნაქაღში დარჩენილმა ამხანაგმა მითხრა, რომ მასზე და-კისრებულ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პიონერთა ბანაკის დირექტორი მოუხსნიათ.

პეტრე მაღალია





მეჩხერი

სკოლაში ბევრნი ვიყავით. მერე, დამთავრების შემდეგ, ვინ სად წავიდა და ვინ სად. ერთზე მოგახსენებთ. ქარხანაში დაიწყო მუშაობა. იცოცხლე, თავისი საქმე შეისწავლა, კაცი ვერ შეედრებოდა. ვირტუოზი იყო პირდაპირ. თუკი რაიმე სასწრაფო და მნიშვნელოვანი დავალება იყო, მის მეტს არავის ანდობდნენ. მაგრამ რად გინდა? დღე და ღამე ყუანებდა, ილანძვებოდა, ჩხუბობდა, თქვენ ჩემი ფასი არ იცით, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებათ. ჩემისთანას სად იშოვითო. ერთ დღეს შემთხვევით შემხვდა, მივიკითხე-მოვიკითხე ერთმანეთი, მერე სამსახურზე ჩამოვადგო ლაპარაკი და ეშმაკურად გაიღიმა.

— საამქროს უფროსს ოინი უნდა ვუყუო!

— რა ოინი? — სასტიკად დავინტერესდი.

— რა და, განცხადებას დავუწერ, ვითომ წასვლას ვაპირებ, იცოცხლე, ის გაღიროს.

— აბა შენ იცი! — გავამხნევე მე.


ორი კვირის შემდეგ დამირეკა.

— სოხო ხარ?

— სოხო ვარ.

— თუ ძმა ხარ, სამსახური ხომ არ გეგულება სადმე?

წიპარა



— აი, გავას კი ვხედავ, ექიმო!

სიტყვა-თქმათა სათავეებთან

(ამონაწერი რეზერაბიდან)

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ჯიგარო“, „დილიხორი“, „წამსევდა გოიმი“, „სალოლ, პუშკინი“ და სხვ. წარმოშობით არაქართულია, არის ე. წ. „ბარბარიზმი“ და მათი მეცნიერული კვლევისგან თავს იკავებს.

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ გავრცელებულ შეხედულებას. ვამტკიცებთ, რომ მსგავსი სიტყვა-თქმები ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და მათ წარმოშობისა და განვითარების საყურადღებო ისტორია გააჩნიათ.

მაგალითისთვის ავიღოთ დღეისთვის ფართოდ გავრცელებული გამოთქმა: „სალოლ, პუშკინი“.

როგორც ცნობილია, თბილისში ყოფნისას, პუშკინი გოგირდის აბანოების ხშირი სტუმარი იყო. იგი მიდიოდა აბანოში, იღებდა ბილეთებს: შესასვლელად, მექისისთვის, ზეწრისთვის... ბილეთებით ხელში შედიოდა ორთქლით დაბურულ გასახდელ განყოფილებაში.

...საშხაპე განყოფილებიდან გამოსული, ქიანასობი პოეტი თხოულობს ზეწარს. იქვე, გვერდით, სხვა მოქალაქეები იცვამენ. ერთი მათგანი მექისეს უწვდის უზალთუნებს (ჩვენს ფულზე 1 მან.). მექისე მას მოკლედ პასუხობს:

— სალოლ, ჯიგარო!

მოქალაქე, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმოდ განსწავლული და გათვითცნობიერებული იქნებოდა, მექისეს ყურში უჩურჩულებს, რომ ეს ხუჭუჭა და ბაკენბარდებიანი ახალგაზრდა პუშკინია.

ხოლო პუშკინი, რომელიც დიდად აფასებდა და პატივს სცემდა კავკასიელი ხალხის ადათ-წესებს, ბუნებრივია, აკეთებს იგივეს, რაც მისმა მეზობელმა გააკეთა — ე. ი. მექისეს აძლევს ერთ უზალთუნს (ჩვენს ფულზე 1 მან.).

ჩვენი მეცნიერული მსჯელობის ლოგიკურ დასკვნად გვევლინება ის გამოთქმა, რომელიც იმ მომენტში იხმარა ისტორიულმა მექისემ:

— სალოლ, პუშკინი!

და ეს გამოთქმა, ხალხურ წრეში დაბადებული, მტკიცედ შემოდის მის ყოველდღიურობაში. ამიტომაც მას, ამ გამოთქმას — ეხედებით არა მარტო დღევანდლო თბილისურ აბანოებში (რომლებიც დღესაც ბევრი საინტერესო და თავისებური ტრადიციების მატარებელია), არამედ ყველგან — შინ და გარეთ, მთელს საზოგადოებაში.

უ. ოპროია,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატობის კანდიდატი

საზოგადოებრივი კოლეგია: ჯ. ბოლშაქოვი (პ/მე. მლიქვნელი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, ნ. ნიჟარაძე (მთ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, პ. ფირცხალავა, ი. ბელონი.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ დუმბაძე





ამერიკელი მონოპოლისტები სულ უფრო დიდ იმედებს ამყარებენ ისრაელზე, რათა გამოიყენონ ის თავის პოლიტიკურ იარაღად, ახლო აღმოსავლეთში ნავთის საზოგადოების ექსპლუატაციისაგან მიღებულ კოლოსალურ მოგებათა შესანარჩუნებლად.

გაზეთებიდან

7

1973

